ერი

№ 21
წელიწადი
მეორე
1914

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბათი, 28 იანვ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“
Ивановская, д. Чилаева.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ერი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ზენში ცნობილი შუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაკავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

„რადიუმი“

ორშაბათიდ ნ, 27 იანვრიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა.

I.

პატე-ჟურნალი.

II.

მხოლოდ სამი დღით ახალი დიდ შესანიშნავი სურათი პირველი რუსული მატვრული „ტანაგარას“ ოქროს სერიიდან მხოლოდ დიდებისვის

ბაიადერკას თვალები.

სენსაციური ტრაგედია 3 მოქმედ. იმპერატორის თეატრის დამსახურებულ მსახიობთა მონაწილეობით.

III.

როგორ ლაპარაკობდა ინგლისურათ

ჟაკს ლინდერი.

ძლიერ კომიკური სურათი მაკს ლინდერის მონაწილეობით.

ბავშებსა და მოწაფეებს არ შეუძლიათ თეატრში შესვლა. დიდი ხარჯების გამო ამ სურათების შესაძენათ დირექცია იძულებულია ცოტათ ფასები აუწიოს.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 30 იანვრიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

ოთხი ცეკვა ბანგი.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოფი

საგულალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

18 დეკემბრიდან

დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცანცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა **ავტორის ხელმძღვანელობით** სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი **ია. ცინცაძე.**

1914 წლის 2 იანვრიდან

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვარის პირდაპირ გაიხსნა

კანტორა

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

контора

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

ქუთაისი

პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ს. რედიგეინის სახლი თეთრ ხიდთან

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

გ. ს. ამაინტი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ს. ს. რედიგეინი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ს. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12 1/2 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის	4 1/2—5 1/
გ. ს. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5 1/2—6 1/2

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, **606—914** შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირეკტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

აქიმი კ. თ. **ტუეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს **შინაგანი, ვენერიული, კანის)** ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. **ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი დ. **ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

იყიდება კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პიროებების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

ქუთაისი, 28 იანვარი.

„მადლობა ღმერთს, პარლამენტი არა გვაქვსო“, სთქვა ერთხელ სათათფიროს ტრიბუნიდან ფინანსთა მინისტრმა, ახლა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე კოკოვცოვმა, რითაც დიდი აღშფოთება გამოიწვია სათათფიროს ოპოზიციაში. მინისტრის ბაგეთაგან თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა, მაგრამ სინამდვილის გაგონება მაინც არ ესიამოვნა იმათ, ვინც სხვადასხვა ილიუზიით დიდხანია თავს იტყუებს, ვისაც უნდა თავისთავი და ქვეყანა დააჯეროს რომ რუსეთში „მადლობა ღმერთს“ პარლამენტი და პარლამენტარიზმი არსებობსო. მართალია ძირითადი კანონების გამოქვეყნებიდან დღემდი ისედაც შეზღუდული სათათფიროს უფლება სისტემატიურათ იზღუდება, მართალია სათათფიროს საბიუჯეტო უფლებანი ბოლოს და ბოლოს ფიქციაა და როცა საჭიროთ იქნება ცნობილი 87 მუხლის ძალით რამდენ ხანსაც უნდათ შეაჩერებენ ჩვენი „პარლამენტის“ მოღვაწეობას, მაგრამ ერთი ჯერის პოლიტიკოსებისათვის პარლამენტი მაინც არსებობს „მაინც ბრუნავს“. საკვირველია, რომ ასეთი ილიუზიებით უმთავრესათ თავს იტყუებენ ისეთი პირები, რომელნიც გამობრძმედილნი არიან სახელმწიფო უფლების დოგმებში, რომელთაც სხვებზე უფრო კარგათ იციან (თეორიაში) თუ რას ნიშნავს პარლამენტარიზმი.

ბევრი ცნობილი პროფესორი კადეტი აუდიტორიაში ნათლათ განმარტავს, რომ პარლამენტარიზმი არის ისეთი წესი სახელმწიფოებრივი ცხოვრების, სადაც აღმასრულებელი ძალა დამორჩილებულია, კანონმდებლობის სფეროში, სახალხო წარმომადგენლობისაგან, რომ მისი დამახასიათებელი თვისებაა მინისტრის პასუხისგება ხალხის წარმომადგენელთა წინაშე, მაშასადამე, როცა ხალხის წარმომადგენელნი მთავრობის წევრს უნდობლობას უცხადებენ ეს მის გადადგომას იწვევს, ასე ასწავლიან ისინი თავის აუდიტორიებში, როცა საკითხი თეორეტიულ ფარგალში ტრიალობს აქ ყველაფერი ნათელი ლ გარკვეული ნათლათაც გადასცემენ თავის მსმენელებს, მაგრამ საკმარისია მათ ყოველდღიურ სინამდვილეს შეხედონ, საჭიროა დღევანდელ ვითარებაზე აალაპარაკოთ, რომ მთელი მათი მთლიანი მსჯელობის კოშკი დაინგრეს. ამ შემთხვევაში ისინი იწყებენ სულ სხვა გვარ მსჯელობას. მართალია, ჩვენში მინისტრთა პასუხისმგებლობა არ არსებობს, მაგრამ... აქ პრუსიის რეიხსტაგის მაგალითსაც მოიყვან: იქაც მინისტრები რეიხსტაგიდან კი არა იმპერატორიდან არიან დამოკიდებულნი და სხვა თეორეტიკოსები, როცა მათ პრაკტიკული კითხვების გადაწყვეტა უხდებათ, ერთიანათ იბნევიან, და ხშირათ ცხად უმზგავსობას ქადაგებენ. პარლამენტარიზმი მთავრობის სფერებში ანტასახელმწიფოებრივ ქვეყნის დამლუპველ მოვლენათ ითვლება. და რომ პრეცედენტი არ შექმნან მისთვის ის მინისტრი, რომლისათვისაც სათათფიროს უნდობლობა მრავალჯერ გამოუცხადებია ყველაზე მეტ ფავორშია, მას სხვაზე მეტი გავლენა და ძალა აქვს. უნდობლობის გამოცხადებას მინისტრის მდგომარეობის განმტკიცება მოყვება შედეგათ. ასეთი ვითარებაა გამეფებული, ასეთი დამოკიდებულება არსებობს ჩვენს „პარლამენტსა“ და უმაღლეს სფერებს შორის. ასე აბუჩათ აუგდიათ სახალხო წარმომადგენლობა მათ, ვისაც დღეს ძალა უფლება ხელთ აქვს. ასეთია დამოკიდებულება სათათფიროსადმი, მაგრამ სურათი სავსებით იცვლება თუ მის მაგიერათ საბჭოს მოქმედებას, მის კანონმდებლობას დააკვირდებით. ამ უკანასკნელ ხანებში, მაინც, ყოველ საგულისხმო კენჭის ყრას დიდი გავლენა აქვს ამ თუ იმ მთავრობის წევრის მდგომარეობაზე. საბჭოში კოკოვცოვის დამარცხებამ ლოთობის წინააღმდეგ კანონპროკტის განხილვის დროს პეტერბურგში კვლავ დაბადა ხმები მისი წასვლის შესახებ. ამ შემთხვევის გამო მინისტრის გადადგომაზე უფრო დაბეჯითებითა და დარწმუნებით ლაპარაკობენ. და მართლაც საბჭოში მომხდარი შეტაკება დღევანდელსა და ყოფილ პრემიერთა შორის შეიძლება გადამწყვეტი იქნეს პირველისათვის.

პრემიერის ასეთმა ბიუჯეტმა ცხარე კამათი გამოიწვია მაღალი პალატის წევრებში. კოკოვცოვი ჩვეულებრივის ოპტიმიზმით ირწმუნებოდა, რომ რუსეთის მდგომარეობა ისეთია, უკეთესი რომ არ შეიძლება. ოთხი ხუთი წელიწადია ბიუჯეტი უდეფიციტოთ სდგება ეს ეკონომიური წინსვლის, რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარების შედეგიაო. ოპონენტებისთვის ძნელი არ იყო გაეფანტათ პრემიერის ოპტიმიზმი, ეს ყველაზე უკეთ მონოპოლიის მამათმთავათმა, მისმა დამფუძნებელმა გრ. ვიტემ ბრწყინვალეთ შეასრულა. ცხადი იყო ყველასთვის და საბჭოსთვისაც ცხადი შეიქნა, რო რუსეთის ბიუჯეტის კეთილდღეობა დამყარებულია მრავალი მილიონი ხალხის იბედურებაზე. სახელმწიფო უკანასკნელ გროშს ართმევს რუსის ხალხს მონოპოლიის სახით. ხალხი ლოთობს, ყიდის რაც გააჩნია ყველაფერს და არაყს ყიდულობს. აი საიდან წარმოსდგა უდეფიციტო ბიუჯეტი. მთავრობა მის მაგიერათ, რომ ზომები მიიღოს ამ საშინელი მოვლენის წინააღმდეგ ხურავს სიფხიზლის საზოგადოებებს, ხურავს მათ მოქმედებას. ასეთმა მდგომარეობამ მიიქცია თვით საბჭოს ყურადღებაც. მინისტრის ოპტიმიზმს ზემოაღნიშნული ფაკტებით გასცეს პასუხი. გრ. ვიტე და დანარჩენი ოპონენტები მოითხოვდენ მთავრობას მიეღო ზომები რუსის ხალხის გალოთების წინააღმდეგ. საბჭომ დაადგინა: ნება მიეცეს ქალაქებისა და ერობის თვითმართველობებს—აუკრძალონ არყით ვაჭრობა თავის მოქმედების რაიონში. თუმცა საბჭომ მაინიჭა უფლება არაყით ვაჭრობის კერძო პირების მიწაზე, რითაც სოფლათ სავსებით გააბათილა თავისივე დადგენილება უფრო საყურადღებოა საბჭოს ორმოცი წევრის წინადადება. ესენი მოითხოვენ სამი წლით შეჩერდეს ზრდა არაყის მონოპოლიის შემოსავლიდან და ზედმეტი თანხა ლოთობასთან საბრძოლათ გადაიდვას.

საინტერესოა, რომ კოკოვცოვი თავის დებულების დასაცავათ ლიბერალურ დემოკრატიულ თეორიებს წაეპოტინა: ის ამბობდა, რომ შეუწყნარებელია მცხოვრებთა ასეთი შეზღუდვა საკანონმდებლო ნორმებით, შეუძლებელია მცირედ ჯგუფმა მრავალ მილიონი ხალხის ცხოვრება მოსთადარიგოსო. კარგი იქნებოდა, ეს მოსაზრებანი პრემიერს სხვა დროს ახსოვდეს. ლოთობაში შეზღუდვა კი არას დააშავებს სიკეთის მეტს, შეზღუდულთ არას შესძენს. იმ კამათის გამო, რომელიც ამ საკითხმა გამოიწვია საბჭოში, გავრცელდა ხმები კოკოვცოვის წასვლაზე. თუ საბჭომ ორმოცი წევრის შენიშვნა მიიღო ასეთი მონოპოლიის შემოსავლის ფიქსაციის შესახებ, მაშინ პრემიერის მდგომარეობა, მართლაც, დიდათ შეირყევა მაგრამ მისი წასვლით არსებითად მდგომარეობა ხომ მაინც არ შეიცვლება სანამ რუსეთის უზარმაზარი ბიუჯეტი ხალხის ლოთობაზეა დამყარებული. მანამ მთავრობა რადიკალურ ზომებს ვერ მიიღებს ლოთობის წინააღმდეგ. ასეთი ზომების მიღება შესაძლებელია მთელი ახლანდელი ფინანსიური სტრუკტურის შეცვლით.

ახალი ამბავი.

თფილისის ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ ორი ათასი მანეთი გადასდვა ქართულ ენაზე საკუთარი ჟურნალის გამოსმცემათ.

✦ 18 იანვარს შობის ხის გათავებას შემდეგ სიღნაღის სამოქალაქო შკოლა დამწვარა.

✦ გაზეთ „სიტყვის“ ახლო თანამშრომლები ვ. მალაქიაშვილი, თ. ჟღენტი, რ. კალაძე და ამავე რედაქციაში მოსამსახურეები ილია რუხაძე და ილარიონ რუხაძე ქუთაისის ჟანდარმთა მართველობას კავკასიის მეფის მოადგილისთვის კავკასიიდან გადასასახლებლათ წარუდგენია.

✦ 1 თებერვალს თფილისის ქართულ თეატრში გ. მეფარიშვილი სიცოცხლის ღირებულობაზე ლექციას წაიკითხავს.

✦ წ. კ. საზოგადოებას თფილისში მისვლია ჯუმათის, ნანეიშვილის საზოგადოების, ნიგოითისა და ლუაბზის მცხოვრებთა შვამდგომლობა სამკითხველოს გა-

ხნის შესახებ. თფილისის წ. კ. საზოგადოების საბიბლიოთეკო და სახალხო კითხვების მომწყობ კომისიას დაუდგენია ეს შვამდგომლობანი წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გადასცეს.

✦ კავკავის ქართული სცენის მოყვარეთა წრეს გადაუწყვეტია გადაიხადონ კავკავში კოტე ყიფიანის იუბილე.

✦ გამოვიდა ბორის სალავიოვის „საავთმყოფო კასების“ ქართული თარგანი. წიგნის ფასი ერთი შაურია.

✦ ჟურნალმა „კლდემ“ გამოსცა და თავის ჟურნალის წარსული წლის ხელის მომწერლებს დაურიგა ალ. ფრონელის წიგნი: მთის არწივი შამილი.

✦ ოჩამჩირეში 12 იანვარს ნინო გაბუნიას მეუღლეს 4 შვილი დაბადებია ერთად ორი მათგანი დაბადებისთანავე მომკვდარა, ხოლო ორი კი ახლაც ცოცხალიაო.

✦ თფილისში ამ რამდენიმე დღის წინათ გადაიცვალა ქართული გაზეთების თანამშრომელი ლვდელი ზაქარია გულისაშვილი.

✦ ქუთაისში ჩამოვიდენ ერთს საზოგადო საქმეზე მოსალაპარაკებლათ თფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის თავჯდომარე თ. დიმიტრი ჩოლოყაშვილი, თ. მიხეილ ჭავჭავაძე და პართენ გოთუა.

✦ ხმებია—ვითომ მთავრობას გადაწყვეტილი ქონდეს საერობო თვითმართველობის შემოღება იმპერიის ყველა მხარეში.

✦ როგორც „ზაკავკაზსკაია რეჩი“ იუწყება, საგუბერნიო მართველობას თფილისის გუბერნატორის თავჯდომარეობით უარ უყვია კავკასიის გადამიჯვნის პროეკტი.

✦ ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოწაფეებმა შემდეგი დეპეში გაუგზავნეს კ. ყიფიანს: „მშობელი ერის სიყვარულს თვისი ხელოვნების ბურჯისადმი ვუერთებთ ჩვენს ახალგაზდურ აფრთოვანებას“.

✦ ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ კ. ყიფიანს ძვირფასი საჩუქარი მიართვა და ადრესი წაუკითხა გამგეობის სახელით ჩვენმა ახალგაზდა ბელეტრისტმა ჯაჯუ ჯორჯიკიამ.

✦ დეპუტატთა საკრებულოს მდივანი დავით მდივანი თავს ანებებს სამსახურს.

✦ კვირას, 26 იანვარს, ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნა საკრებულო ტაძარში წირვა და პანაშვიდი მისი გადაცვალების 17 წლის შესრულების გამო. მამა დოლაბერიძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა ეპ. გაბრიელის ღვაწლი და შრომანი ჩვენი ქვეყნისთვის.

✦ პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელთა პედაგოგიური მუზეუმი 9 თებერვალს 1914 წელს დღესასწაულობს 50 წლის არსებობას.

ამის შესახებ იგი სთხოვს ქალაქის გამგეობას მიიღოს მონაწილეობა დღესასწაულში. თუ ქალაქის გამგეობა პატივს სცემს ამ დღესასწაულს დელეგატის გაგზავნით მუზეუმი, სთხოვს აცნობოს მას დროით.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქჩი შეუდგინა ყასაბს ბეგლარ ჯანგავაძეს ხორცის მეტ ფასში გაყიდვისათვის და მეპურეებს დილი მამედ ოღლისა და აბდულ იაგჯი ოღლის მესხეთის ქუჩაზე პურის ნიხრზევით გაყიდვისათვის.

გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს მდივანი დღეს 1 საათზე იწვევს საკრებულოს წევრებს სხდომაზე.

კოტე ყიფიანის

45 წ. იუბილე ქ. თფილისში.

დ ი დ ი თ.

დღესასწაულის გამგეს კნ. მაჩაბლისას ღონე არ დაუშურავს—სადღესასწაულო სახე მიეცა თეატრის დარბაზისა და სცენისათვისაც. ნაშვადღევის 1 საათზე ბ. იუბილარი სცენაზე გამოიყვანეს მგოსანმა აკაკიმ და დამსახურებულმა მსახიობებმა.

მუსიკა შესწყდა.

აკაკიმ მოკლე, თავისებური ლამაზი სიტყვით მიმართა ჯერ იუბილიარს, შემდეგ საზოგადოებას.

შემდეგ სიტყვებით მიმართეს იუბილიარს თფილისისა და ქუთაისის დრამატიული საზ. წარმომადგენლებმა. ამას მოყვა მიმართვა: თფილისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელის, თფ. ქალაქის გამგეობის, ქუთაისის თვითმართველობის ოზურგეთის თვითმართველობის; წაიკითხეს ეპისკოპოზი ლეონიდის მოგონება, რამაც ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია. ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების, ეთნოგრაფიული საზოგადოების, ქართ. კულტ. მოყვარული წრის, კავკასიის მუსულმანებისა (ტაშისცემა), ეკატ. გაბაშვილისამ, რუსული ოპერა, დრამა, სომხური დრამ. საზოგ., უკრაინელი არტისტებისა (ადრესმა შეუწყვეტელი ვაშა გამოიწვია). ასირიული წრისა. სიმ. ქვარიანის პატარა ქალის ლექსი, „სახალხო გაზეთის“ რედაქციის, „ერი“-ს რედაქციის, „მშაკის“ რედაქციის, „ბათომის გაზეთი“, „ნაკადული“, „ნოვოე დელო“, „ბაკუ“, თფილ. ახალი კლუბისა, დაღესტნის მუსულმანებისა და სხვ.

წაიკითხეს მრავალი დეპეში ჩვენი ქვეყნის ქალაქ-დაბებიდან და რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებიდან ქართველი სტუდენტებისა, ბათომის თათრებისაგან (დიდი ვაშა); წაიკითხეს ვაჟას ლექსი... იუბილიარმა მრავალი გვირგვინი, თაიგულები მიიღო და სხვადასხვა საჩუქარი ნივთად და ფულათ.

სალამოს თეატრი ხალხით გაჭედილი იყო. საზოგადოთ იუბილეს ეროვნული დღესასწაულის ელფერი ედვა.

—აა.

ფოთი.

ქალაქის საბჭოს სხდომა და თავჯდომარე ჭოჭუას კმირობა.

26 იანვარს, საბჭოს სხდომას თავჯდომარეობდა ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი ჭოჭუა. სხდომაზე გამოცხადდა აუარებელი საზოგადოება. საბჭომ განიხილა რამდენიმე წვრილმალი საკითხი. სრული წესიერება სუფევდა. ჯერი მიდგა ქალაქის ელევატორების საკითხზე. მორიგ საქმეთა სიაში შეტანილი იყო: ხმოსანთა ჯგუფის წინადადება—აირჩეს კომისია, რომელსაც დაევალოს ელევატორის სიავ-კარგის შესწავლა. გამგეობამ წარუდგინა საბჭოს წერილობითი მოხსენება, რომელშიც ამბობს, რომ კომისია არ არის საჭირო, ვინაიდან, სულ ერთია, იგი ვერას გაიგებს, ელევატორის საკითხი სამინისტროში გადასწყდება; რაც შეეხება იმას, რომ სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა მოხელემ პოკრიშევსკიმ არ მოიწონა ელევატორი, ეს გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ გირაო დასტოვოს კონტრაგენტმა ელევატორის ვარგისიანობის უზრუნველსაყოფათ და სხვა.. ხმოსანთა კატეგორიული მოთხოვნით, გამგეობამ წაუკითხა საბჭოს სამინისტროს გამოგზავნილი მოხელის ბ. პოკრიშევსკის აზრი, გამოთქმული და შეტანილი 1913 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ელევატორებს გამოცდის ოქმში, დაახლოებით შემდეგი შინაარსისა: მუშაობის დაწყების პირველ თვეებშივე აღმოჩნდება, ჩემი აზრით, რომ ელევატორის ხიდის ფერმები ვერ გაუძლებენ კოვშების (მარგანეცის ჭურჭელია) ჩქარსა და მუდმივ ქანაობას, მათ გადადგმა-გადმოდგმას და უცებ შეჩერებას და და სხ. ამის გამო ბ. პოკრიშევსკის აზრით, რომელსაც ეთანხმებიან ფოთის ნავსადგურის ინჯინრები, ელევატორების ვარგისიანობაზე არ შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე არ იქნება ელევატორები ამუშავებული რამდენსამე თვის განმავლობაში. ეს აკტი გამგეობამ გადამალა საბჭოს სხდომების დროს 22-სა და 28 დეკემბერს, როდესაც ხმოსნები ითხოვდენ მის წაკითხვას. ხმოსან ესაკიას შეკითხვაზე: მართალია თუ არა—გამგეობამ საბჭოს დაუკითხავათ გაუგზავნა ქალაქის წარმომადგენელს პეტერბურგში ბ. ტოკარსკის, დეპეშით ვექილობა გაუსწოროს დაბოლოებითი აწგარაში ელევატორისა შავი ზღვის საამშენებლო საზოგადოებას, და თუ მართალია—გამგეობამ მოახსენა საბჭოს ამ დეპეშის შინაარსიო,—გამგეობის წევრმა ჭოჭუამ უპასუხა:—მართალია, მაგრამ დეპეშის შინაარსი ახლა საჭირო არ არის. სამ-ოთხ კვირას შემდეგ წაგიკითხავთ, როდესაც ელევატორის საქმეც დასრულებული იქნებაო.

სიტყვას ითხოვს ხმოსანი გ. საბახტარაშვილი. ჭოჭუა უპასუხებს: „напрасно ломаешь языкъ“-ო და წინადადებას აძლევს ხმოსან მეიერს, ნავსადგურის ყოფილ ინჯინერს, იმ იმედით, რომ იგი, მეიერი მხარს დაუჭერს გამგეობას. მეიერმა სრული სიჩუმით გასცა პასუხი.

ხმოსანი ესაკია: განსახილველი წინადადების ინიციატივა მე მეკუთნის. იგი არ არის სასწორით შეტანილი სიაში, ამიტომ მე მინდა გავუმარტო საბჭოს ეს წინადადება, ვსთხოვ თავჯდომარეს თავის დროზე მომცეს სიტყვა ამ მიზნისთვის.

თავჯდომარე რაყევას შემდეგ, თუ გინდა ილაპარაკე ახლა.

ესაკია: წინადადება გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

22 დეკემბერს 1913 წელს საბჭომ განიხილა გელზენკირხენის საქციონერო საზოგადოების თხოვნა, რომლითაც საზოგადოება ითხოვს მიეცეს ნებართვა ააშენოს ფოთის ნავსადგურში საკუთარი ელევატორი, საკუთარი მარგანეცისთვის. საბჭომ მიიღო სახეში, რომ ჯერ ქალაქის ელევატორების ბედი არ არის გამორკვეული, რომ ჯერ არ ვიცით ივარგებს ქალაქის ელევატორი თუ არა, არც ის ვიცით გელზენკირხენის საზოგადოების ელევატორი გაუწევს ქალაქის ელევატორს მეტოქობას თუ არა—ხმის უმეტესობით დაადგინა: გელზენკირხენის საზოგადოების თხოვნის განხილვა გადაიდვას ქალაქის ელევატორების მდგომარეობის დაბოლოებით გამორკვევამდი. საჭიროა დავაჩქაროთ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა, რომ დროზე მივსცეთ შესაფერი პასუხი გელზენკირხენის საზოგადოებას. ამიტომ ჩვენ საჭიროთ დავინახეთ არჩეულ იქნას კომისია, რომელმაც შეისწავლოს ყველა მხარე ქალაქის ელევატორებისა; იურიდიული, ტექნიკური, საფინანსო და სამეურნეო. ეს წინადადება მე წარვუდგინე საბჭოს 28 დეკემბრის სხდომაზე. მაშინ ბ. თავჯდომარემ არ მისცა საბჭოს საშვალება წინადადების განხილვის. დღევანდელ საკითხ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ხმა გავრცელდა—ქუთაისის გუბერნატორის დანიშვნის საქმე ამ დღეებში უნდა გადაწყდესო.

— ჟორესს პუტილოვის ქარხნის შესახებ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შეკითხვა შეაქვს.

— ლეო მეხელინის დასაფლავებამ ფინლანდიაში ნაციონალური სახე მიიღო.

— სერბიამ ჯარის მობილიზაცია გამოაცხადა.

— საბერძნეთის ჯარი ალბანელთა დასამშვიდებლათ ალბანეთში გადვიდა.

— მოსკოვში ოკტომბრის პარტიის კრება მოხდა.

— ხელმწიფემ სერბიის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე პაშიჩი ინახულა

— ილიოდორე „ნოვოე გალილეიას“ მიდის.

— „კიევლიანინის“ რედაქტორს შულგინს სასამართლომ 3 თვის ციხე მიუსაჯა.

— მინისტრთა საბჭომ კიევის ერობის შვამდგომლობა სრულიად რუსეთის საერობო კრების მოწვევის შესახებ უარყო.

— ბობრინსკის ავსტრიაში ჟურნალისტების საინტერვიოთ მიღება აუკრძალეს.

— ვენეზილოსი პეტერბურგიდან ბუქარესტს წავიდა.

— რუსეთმა წინადადება მისცა ოსმალეთს სომხეთში მოხელეებათ სანახევროთ სომხები დანიშნეო.

— სოფიაში, თეატრში წარმოდგენის დროს, სერბიის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოხდა.

— ეპირში ბერძნებსა და ალბანელებს შეტაკება აქვთ.

— ბაქოში დაბუერეს სომხური გაზეთი „ბაქოს ხმა“

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აფხაზეთის მთავარი

ქელიშ-ბეი შარვაშიძე.

(ისტორიული ამბავი).

დასასრული, იხ. „ერი“-ს მე-19 №.

IV.

სეფერ-ბეი, თ. გრიგოლ დადიანის წინადადებით მოინათლა, დაემოყვრა მას და სახელათ გიორგი ეწოდა.

ამ შემთხვევას იგი ოსმალეთს უმალავდა, რადგან ჯერ კიდევ ოსმალეთისაკენ ქონდა თვალი და ფაკტიურათ ისევ მაჰმადიანთ სჯულს აღიარებდა.

სამეგრელოს მთავრის სასახლეში დიდი ამბით წაიკითხეს სეფერ-ბეის მოწერილი წერილი. განიხილეს თითოეული მუხლი იმ პირობებისა, რომლის შესრულებასაც პირდებოდა დიდი რუსეთის ხელმწიფეს, თუ კი ოდესმე ელირსებოდა მათი უდიდებულესობის მოწყალების კარის გაღება და ქვეშევრდომათ მიღება. სასახლეში ყველამ მოიწონა სეფერ-ბეის წერილი, მოიწონა განსაკუთრებით მთავრინა ნინომ, რადგან სწორეთ ისე იყო დაწერილი, როგორც მას სურდა.

ამგვარის შემთხვევით ღრმათ ნასიამოვნებმა მთავრინა ნინომ, აიღო კალამი და ორი ღირსშესანიშნავი შინაარსიანი წერილი დასწერა:

ერთი მისწერა მაშინდელ საქართველოს მთავარმართებელს, გრ. გუდოვიჩს, მეორე რუს ხელმწიფეს ალექსანდრე პირველს, ორივე წერილში მთავრინა მოწიწებით ევედრებოდა როგორც გუდოვიჩს, ისე ხელმწიფე ალექსანდრეს, აფხაზეთი მისი მთავრით თავის ქვეშევრდომათ მიეღო და ამ რჩევას ფაკტიურათ უსაბუთებდა, როგორც აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობით, ისე თავისი პირადული მოსაზრებით. ურჩევდა, რომ ეს შეერთება დიდი რუსეთისათვის სასარგებლო იქნებოდა.

საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელს გრ. გუდოვიჩს ჯერ წინათაც გადაწყვეტილი ქონდა აფხაზეთის ქვეშევრდომობის მიღება, ამისათვის შესაფერ დროსა და გარემოებას ელოდებოდა.

აფხაზეთის ხელში ჩაგდებას იგი სრულიად ადვილათ შესასრულებელ საქმეთ სთვლიდა. იგი ცხადათ ხედავდა აფხაზეთის ბედს.

დარწმუნებული იყო, რომ მისი პოლიტიკური მაჯისცემა შეჩერებული იყო. მას მალე სული უნდა განეტევა—მომკვდარიყო, რადგან ამ მდგომარეობას მისი შფლობელი-პატრონიც ხელს უწყობდა და აჩქარებდა.

გრ. გუდოვიჩს ოსმალეთთან ზავის შეკვრა უფრო საშიშრათ და სახიფათოდ მიაჩნდა და მიტომაც აფხაზეთის რუსეთთან შეერთებას არაფრათ უჩქაროდა. სამეგრელოს მთავ. ნინოს წერილებმა ხომ კიდევ უფრო დაარწმუნეს გრაფი, რომ აფხაზეთი დღეს თუ ხვალ მაინც დიდი რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი უნდა გამხდარიყო...

მიზეზიც ის იყო, რომ გრ. სალტიკოვს, ასმს მარტს 1804 წელს, შესანიშნავი შინაარსის წერილი მისწერა:

„1806 წ. 13 ივნისს, მინისტრის, გრ. რუმიანცევისაგან გამომეცხადა, სწერდა გუდოვიჩი, გრ. სალტიკოვს, რომ იმპერატორმა ნება მომცა, რათა აფხაზეთი თავისი მემკვიდრით, სეფერ-ალი-ბეით რუსეთის ქვეშევრდომათ მივიღო.

სეფერ-ბეი გადაცვალებულის ქელიშ-ბეის ძეა. ქელიშ-ბეი კი ვერაგულათ მოკლა თავისმა ღვიძლმა შვილმა ასლან-ბეიმ. თუმც ეს მონდობილება ჩემზე იყო დამყარებული, როცა მინდოდა, მაშინ მოვიყვანდი სისრულეში, მაგრამ ამ ამბავს დღემდი ვმალავდი, სხვებისათვის იგი საიდუმლო იყო.

ვუცდიდი დროსა და გარემოებას. ჩემთვის საჭირო იყო ჯერ ოსმალეთთან გამეთავებია ზავი—შერიგებულვიყავით. გენერალ პროზოროვსკისაგან კი ჯერ კიდევ ცუდი ამბები მომდიოდა. ზავის დასრულებას ბოლო არ ეღებოდა. და ჯარი რომ აფხაზეთში გამეგზავნა, საზღვრებზე სამხედრო ძალა შესუსტდებოდა.

ამ მიზნით მივსწერე გენ. რიკგოფს სეფერ-ბეისათვის გადაეცა, რომ მზათა ვარ მოვეხმარო, თან სამეგრელოს მთავრინას მივსწერე აფხაზეთისათვის თვისი ჯარი მიეშველებია და მანუჩარ შარვაშიძის დახმარებით, ასლან-ბეი დაემორჩილებიათ. ეს ჩემი მინდობილება როგორც გენერალმა რიკგოფმა, ისე სამეგრელოს მთავრინამ მშვენიერათ შეასრულა და დღეს აფხაზეთში სამეგრელოს მთავრინას ჯარი სეფერ-ბეის ეხმარება.

გენ. რიკგოფის პირით აფხაზეთის მთავარს სეფერ-ბეის გადავეცი, რომ ხელმწიფე იმპერატორის ნებითა და ბძანებითა იგი (სეფერ-ბეი) უკვე მიღებულია დიდი რუსეთის ქვეშევრდომათ, და დავბრუნდი თუ არა სპარსეთს ომის დასრულებას შემდეგ, სეფერ-ბეისაგან ეს უქვეშევრდომილესი თხოვნაც მივიღე, სადაც მოყვანილია ყველაის მუხლი პირობისა, რომლითაც აპირობს რუსეთის ქვეშევრდომობას. აი რა პირობით უერთდება იგი დიდ რუსეთს: „ა) მე აფხაზეთის ტახტის მფლობელი და მემკვიდრე სეფერ-ბეი, ჩემის ნებითა და სინიდისით ვუერთდები დიდი რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფის ალექსანდრე პირველის საფლობელოს.

ბ) ვალდებულათ ვხდი როგორც ჩემს თავს, ისე მთელი ჩემი აფხაზეთის მკვიდრთა და მონათა ჩვენთა, მივიღოთ დიდი რუსეთის ქვეშევრდომობა იმ პირობით, რომ როგორც მე, ისე ჩემი ქვეშევრდომი აფხაზეთი აღიარებდენ წმ. მართლმადიდებელ ქრისტეს სჯულს და და ყველა გაქრისტიანდება.

გ) მიხედავთ ჩემს ამგვარ გულრწფელ სურვილსა და გრძნობას, და იმედი მაქვს, ხელმწიფე იმპერატორი, მომანიჭებს მეც თავისი უხვი მოწყალების ისეთ ნიშნებს, რომლითაც დასაჩუქრებული არიან სხვა დანარჩენი, ჩემებ მიღებული მთავრები და თავადები.

დ) მომეცეს მე ხელმწიფე იმპერატორის ხელმოწერილი გრამოტა, რომლის ძალითაც დამტკიცებული ვიქნე ჩემი საფლობელო აფხაზეთის მემკვიდრეთ, მართველათ და უფროსათ, როგორც მე, ისე ყველა ჩემი შვილი და შვილიშვილი, მთელი ჩვენი შთამომავლობა.

ე) მომეცეს ხელმწიფე იმპერატორის მიერ ჯარი, რომელიც, გაჭივრების დროს, ჩემი საფლობელო აფხაზეთის საზღვრებს მტრების მიერ აოხრებისაგან დაიცავდეს.

ვ) უკვე გადაცვალებული მამა ჩემი ქელიშ-ბეი ოსმალეთისაგან დიდათ დაჯილდოებული იყო, როგორც ჯამაგირით, ისე ორდენებით და ყურადღებით; მეც იმედი მაქვს ხელმწიფე იმპერატორისა, არ მომაკლებს თავის მოწყალებას და ჯამაგირს დამინიშნავს.

ზ) ვიკვრი ფიცით, რომ როგორც მე, ისე ყველა ჩემი ქვეშევრდომი აფხაზი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდი ერთგული მონა-მორჩილი—ვიქნეთ ხელმწიფე იმპერატორისა, არაფერში ვეწინააღმდეგოთ მის მიერ დაყენებულ საქართველოს მთავარმართველს, ყველაფერი გავუგონოთ მას და ვემორჩილოთ მის განკარგულებას.

ამასთან გადავსცემ რუსეთს ნავ-ხოალდების საშენებელ ტყეს, ვერცხლისა და ოქროის ქარხნებს იმ პირობით კი, რომ აქიდან მეც რამდენიმე ნაწილი მეძლეოდეს...

ამგვარი პირობით მაქვს გულრწფელი სურვილი შევუერთდე დიდი რუსეთის სახელმწიფოს, სრულიად ჩემი საფლობელო აფხაზეთით და დავსდვა ფიცი, რომ აღვიარებ მართლმადიდებელ სარწმუნოებას, თუ კი ჩემი თხოვნა შეწყნარებულ იქნება და მიღებულ ვიქნები ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძის მფარველობაში. რასა შინა ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ თ. გიორგი შარვაშიძე. ხელს ვაწერთ: თულა შარვაშიძე. *) ამ პირობას გიგზავნით ამასთანავე და გთხოვთ მოახსენ[illegible] ეს ხელმწიფე იმპერატორს.

თუ მათი იმპერატ. უდიდებულესობა მიიღებს და დაამტკიცებს ამ პირობას, იმედი მაქვს, მაცნობებთ; აგრეთვე იმასაც მაცნობებთ, თუ ამ პირობის რომელიმე მუხლის გასწორებას ან სრულ გამორიცხვას ისურვებს, რათა შემეძლოს ხელმწიფე იმპერატორის სურვილისა და ნების თანახმათ, ვიმოქმედო. ვიდრე ამგვარი ნება თქვენგან არ მომივა ამ საქმეს შევაჩერებ, მით უფრო, რომ დღეს იმერეთის საქმეები, გენ. რიკგოფის სიკვდილის გამო, ძლიერ აიწეწა და გადაცვალებულის მაგიერ, გენერ. მაიორი თ. ორბელიანი გავგზავნე, რადგან იგი ადგილობრივი თავადიშვილია და ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება კარგათ იცის. ამას გარდა იმერეთის საუკეთესო თავადებ შორის ბევრი ნაცნობები და მეგობრები ყავს.

ეს არის მას განგებ გავუგზავნე დღეს კაცი და ვსთხოვე ეცნობებია ჩვენთვის აფხაზეთის საქმეების ვითარება, რათა

*) ამ წერილს ახლა თათრული ბეჭედი. მეორე გვერდზე აწერენ ხელს: აფხაზეთის თავადები და ქვეყით მთავარი სწერს შემდეგს: ამახ წინათ რომ წერილი გამოგიგზავნეთ, დაგიწერიე დეკან. იოანე იოსელიანს, რომელიც გუდრწფელათ მირწევდ, რაც შეიძლება მალე, მიმეღო რუსეთის ქვეშევრდომობა. (არქ. ა. გვერ. 209). თ. ხუსკიგაძე.

თა სიაში შეუტანია გამგეობას, ხმოსანთა ჯგუფის წინადადება ელევატორების მუშაობაში ვარგისიანობაზე და ამგვარი კომისიაც არ მიიჩნია გამგეობას სიჭიროთ, როგორც ჩანს, მისი წერილობითი მოხსენებიდან. გამგეობა გვიმტკიცებს, კომისია საჭირო არ არისო. ეს ძალიან მიკვირს! რატომ არ არის საჭირო იგი ამისთანა მძიმე საქმისთვის? ამ დღეებში, როგორც ეიცი, გამგეობამ დეპეშით გაუგზავნა ბ. ტოკარსკის პეტერბურგში ვექილობა და მიანიჭა სრული უფლება გაუსწოროს ქალაქის სახელით სრული ანგარიში ელევატორის კონტრაგენტს, შავი ზღვის საზოგადოებას, ამის უარს გამგეობაც არ ამბობს, მხოლოდ ვექილობ ს შინაარსს გვიმალავს!—ოთხ კვირას შემდეგ გიჩვენებთ, როცა ელევატორ ს საქმე უთქვენოთ გათავდებაო. მე პროტესტს ვაცხადებ გამგეობის ამნაირ საქციელზე და იმაზეც, რომ გამგეობამ საბჭოს დაუკითხავათ მიანდოს ბ. ტოკარსკის ამისთანა მილიონიანი ანგარიშის გასწორება შავი ზღვის საზოგადოებასთან. ბ. ტოკარსკის ამ საქმეში არ შეუძლია ქალაქის ინტერესების დაცვა, ვინაიდან ის ერთსა და იმავე დროს არის ქალაქის წარმომადგენელიც და შავი ზღვის საზოგადოების წარმომადგენელიც. ამ გარემოებათა გამო მე ვუდგენ საბჭოს განსახილველათ შემდეგ წინადადებას: ვინაიდან სამინისტროს მოხელე პოკრიშევსკის მონაწილეობით შემდგარი კომისიის ყველა დაინტერესებელმა წევრმა შეუძლებლათ იცნო ელევატორების ს

საკანცელარიო სახლი **ი. ბოკიელის** შვილების ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საოკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერისა და სიტინის ამხანაგობისა.

ქართული კედლის დასვების **კალენდრები**

ტფილისის პორტფელები (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.

ლოტბარის კვართხის მოვალეობას ასრულებს მისი კაპიტალი. ბევრი სახელმწიფო მისი ოქროთი იკვებება. ამ რამდენსამე წლის წინათ, როცა ჩრდილოეთ ამერიკას, კრიზისების გამო, კატასტროფა მოელოდა, ამ უბედურებისგან საფრანგეთმა იხსნა თავისი ოქროთი. ამ სიმდიდრის წყალობით მისი კულტურაც მდიდარი და ძლიერია. როგორც ძველს დროში იტალიის ყველა გზა რომში შედიოდა, ისე დღეს ყველა ქვეყნის კულტურის გზა პარიზიდან გამოდის.

საფრანგეთის ასეთი სიმდიდრე და ძლიერება შექმნა მისმა აღებ-მიცემობამ და მრეწველობამ, რომლის წარმომადგენელიც დღეს სხვილი ბურჟუაზიაა.

გადავხედოთ ჩვენს ქვეყანას: გვაქვს თუ არა განვითარებული აღებ-მიცემობა, მრეწველობა და გვყავს თუ არა მისი კლასი—ბურჟუაზია?

როგორც პირველი, ისე მეორე ჩვენში ძალიან სუსტ ძალას წარმოადგენს. ამის მიზეზია უმთავრესათ ჩვენი საერთოდ ისტორიული მსვლელობით გამოწვეული უკან ჩამორჩენა და განუვითარებლობა.

მაშინ, როცა ჩვენი ხალხი თანამედროვე ეკონომიური განვითარების გზას ახლა აპირობს დაადგეს, დასავლეთი ქვეყნების ხალხმა ეს გზა თითქმის განვლო. ამ გზაზე დადგომა ჩვენ ძალიან დაგვაგვიანდა, და ან ვის უნდა დავეყენებიეთ მასზე? ჩვენი ინტელიგენცია თავიდანვე მოკლებული იყო თანამედროვე ცხოვრების ღრმა დაკვირვებას და მისი მოვლენების სწორეთ გამოკვლევას, მისი სოციალური მდგომარეობაც არ უწყობდა ხელს, ეს გზა კიდეც რო დაენახა, ხალხისთვის ეჩვენებია მასზე დაეყენა.

ეს გზა დღეს თვით ცხოვრებამ დაგვანახა, და რაც მალე დავადგებით მას, მით მალე შევუდგებით ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და განვითარების დაწყებას.

ამიტომ საჭიროა შევკრიბოთ ყველა ძალა, საჭიროა გამოვძებნოთ ყველა საშვალება, რაც კი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ განვითარებასა და გაძლიერებას.

საჭიროა, აღებ-მიცემობისა და მრეწველობის განვითარებას შევუწყოთ ხელი. საჭიროა, ხალხში შევიტანოთ კომერციული სწავლა-განათლება, საჭიროა მეუნერობის განვითარება და ხელის შეწყობა და სხვა.

ვინ უნდა იკისროს ეს?

ისტორიულ ჭახრაკში გამოტარებულსა და დღემდი მოწეული ხალხის ცხოვრებიდან ვიცით, რომ თანამედროვე კულტურისა და ეკონომიური კეთილდღეობის წინამძღოლობა ეკუთნის იმ კლასს, რომელსაც საშვალო წოდება იძლეოდა. ეს კლასი აღორძინდა და განვითარდა ევროპაში განსაკუთრებით საფრანგეთის დიდ რევოლუციას შემდეგ. ეს რევოლუცია ევროპის ახალი მოქალაქობრივი ცხოვრების დაწყების სიგნალი იყო და მას გამოეხმაურა მთელი ევროპის ხალხი. ამ რევოლუციას თან მოყვა მძლავრი შემოქმედებისა და შეგნების ხანა. ხალხმა, როცა დაამსხვრია ძველი წესწყობილება და მოიპოვა მოქალაქობრივი თავისუფლება და პოლიტიკური უფლებები, გაძლიერებული მოთხოვნილება წამოაყენა სულიერსა და ნივთიერი კულტურის საგნებზე.

ამან გამოიწვია ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება, მიმოსვლის გაუმჯობესება, ტექნიკის განვითარება ახალ-ახალი გამოგონებითა და აღმოცენებით, შრომის ახალი იარაღების წარმოშობა, ახალი დაწესებულებების შექმნა, რომელნიც ხელს უწყობდენ ქვეყნის სიმდიდრის განვითარებასა და გაძლიერებას. ეს სიმდიდრე იქ დღეს უმაღლეს წერტილამდია მიწეული და ამის შედეგია მათი დღევანდელი სულიერი და ნივთიერი კულტურაც.

და ყველა ამის მეთაური და მესვეური იყო ბურჟუაზიული კლასი.

ახლა ვეკითხოთ: არის თუ არა ეს კლასი ჩვენში დღეს?

ამ რამდენსაიმე წლის წინათ როსეთი განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა. ჩვენი ხალხი გამოეხმაურა მას.

ჩვენს წარსულ ისტორიას უმუავრესათ ახასიათებს პოლიტიკური ხასიათის ომები, რომლის მიზანიც იყო სამშობლო მიწა-წყლის, სარწმუნოების, ენისა და ზნე-ჩვეულებების შერჩენა; მთელი ხალხის ძალა და ენერგია ამ თავის არსებობის შერჩენას უნდებოდა. მას უმთავრესათ თავისი დაცვის ინსტინკტი ამოძრავებდა. ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასაო და განვითარებას კი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და არც სცალოდათ ამისთვის. მისი მოძრაობა წარსულში მხოლოდ პოლიტიკური ხასიათისა იყო. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას შემდეგ, ეს თავის დაცვის ინსტინკტი ხალხისა სადღაც გულის სიღრმის ერთ კუთხეში მიესვენა და მან მიიძინა. და ეს რუსეთის მოძრაობამ შეუღიტინა და გამოაღვიძა ეს მიძინებული გრძნობა. აქ გამოჩნდა ჩვენი ინტელიგენცია, რომ გამოღვიძებულ გრძნობებზე ემოქმედა და ის გზა და სავალი მიეცა მისთვის, რომელიც მას, ინტელიგენციას მიაჩნდა სწორეთ. ეს ინტელიგენცია არ წარმოადგენდა ჩვენში ერთ მთელს, მას არ ქონდა ერთი მიმართულება, ერთი შეხედულება დღევანდელ ცხოვრებაზე. ჩვენს ხალხს, როგორც ღრმა და ხანგრძლივი ძილისაგან ახლათ გამოღვიძებულს არ შეეძლო თვით გამოერკვია სავალი გზა და თვით ამოერჩია საბრძოლველი იარაღი.

ამიტომ ის მთლათ ინტელიგენციას დაენდო.

ამ ინტელიგენციის ერთი ნაწილი მას ზევიდან დაცქეროდა და იქიდან უქადაგებდა რაც მისი აზრით კარგი იყო; მეორე ნაწილი კი ხალხს დაუახლოვდა და მიუთითა მას ბომავალ ცხოვრებაზე. ხალხი უმთავრესათ იმას ვაყვა, ვინც პირველათ მიეიდა მასთან და დაუსხდოდა, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს მას თითქმის არაფერს აძლევდა; მის დროშაზე მომავალი ბედნიერება ეწერა. ხვალ ისინი სამოთხის კარების გაღებას პირდებოდენ, როცა მათ სამოთხის კარებთან მისასვლელი კიბეც არა ქონდათ; ხვალისთვის ისინი ხალხს ათასნაირ ტკბილეულს პირდებოდენ, როცა კუჭი შიმშილით უხმებოდათ.

დღეს ეს ხანა განვლილათ უნდ ჩავთვალოთ. ხალხი თანდათან ეხვევა, თავს აღწევს „თვის ერთგულთა“ გავლენას და მის წინ ისახება ახალი დროის 'მესაფერი გზა. ეს გზა მისი საწარმოო ძალების განვითარების გზაა და ჩვენ მოვალე ვართ ხელი შევუწყოთ, გავამტკიცოთ და გავამაგროთ იგი ამ ნიადაგზე.

კ. ჩ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი მეშვიდე).

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, შედაგოგები და ბოტანიკები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობა ქ. შ. ნერა-ვითხვის ეამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმოწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**

ხელისმოწერა მიიღება **თფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავადიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზათ.

რედაქცია სთხოვს ხელისმოწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія *Л. Г. Боцвадзе.*

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წელიწადი მეათე. **„ნაკადული“** წელიწადი მეათე

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).

თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზდილთათვის 12 წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

საჩუქრათ ორივე კამოცემის წლიურ ხელის მოწერლებს მიეცემა წიგნი:

„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქეველი მთები“,

(მრავალი სურათით), **კიორგი ანთელაძისა.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კოსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, **ნინო** გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **წყალტუბოში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან; **ადექსანდრეპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხოროში**—მ. ი ჰავჰანიძესთან.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **კარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდისთ, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

გძელდება ხელისმოწერა

„სასოფლო გაზეთზე,“

24 ნო-ემბ. უკვე შესრულდა მისი არსებო-ბის ერთი ნელიწადი.

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

წლიური ფასი . . . . 4 მან.

ნახევარი წლის . . . . 2 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:

2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეხუთე)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით

სურათებიანი დამატება

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვარგვანი მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმჭრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული.“ ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი

თფილისში და მის გარეთ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8მ.10შ.	8 მ.—„	7მ.10შ.	6მ.15შ.	6 მ.—„	5მ. 5შ.	4მ.10შ.	3მ.15შ.	3 მ.—„	2მ. 5შ.	1მ.10შ.	—15შ.

საზღვარ გარეთ.

15მ.—„	13მ15შ	12მ.10შ	11მ.5შ	10მ.—„	8მ15შ	7მ.10შ.	6მ. 5შ.	5 მ.—„	3მ.15შ.	2მ.10შ.	1მ. 5შ.

ცალკე ნომერი ეღირებიან; დამატებიანი შვიდი კაბეკათ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინიციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო-კრებული

„ცხოვრება და მეცნიერება,“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

შინაარსი.

ბრ.—დოტ: ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ კაცთა სკეთხი. ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა აქამი ს. ეიფშაქ: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. ბრიზეკტორი ანატომიურ თეატრისა აქამი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათეთრაზე აქამი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი ბ. ქაგარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაზგელიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. ყველენტი. ბავშის ადზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

გ. ბოკოლაძისა და ს. ნერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოფეტეროსტრის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ეუთზენიშანს „БЕМСКОЕ“

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან **მიღებული რკინეული**

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

რკინის გზა.

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	სახალხო დილის	10 საათ.	6 წ.
	ფოსტის დილის	11 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
ათოსს:	სახალხო დილის	5 საათ.	10 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
	ფოსტის საღამოს	5 საათ.	21 წ.
ფოთს:	საგარაკო დღის	4 საათ.	22 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ.	10 წ.
	ფოსტის დღით	5 საათ.	21 წ.
ზოგრაპანს:	საგარაკო დღით	4 საათ.	57 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	7 საათ.	50 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	სახალ. დილ.	7 საათ.	—
	ფოსტის საღამ.	6 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	28 წ.
ბათომიდან:	ხაფ.-სახ. დილ.	11 საათ.	14 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	27 წ.
ფოთიდან:	საგარ. დილ.	10 საათ.	3 წ.
	სახალხო დღით	1 საათ.	20 წ.
	სახალ. ღამით	1 საათ.	26 წ.
ზოგრაპანიდან:	საგარ. დილის	9 საათ.	31 წ.
ტყიბულიდან:	საღამოს	— 5 საათ.	11 წ.

ბილეთის ფასი: